

თვითმმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი  
თვითმმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი



ბაღდათის მუნიციპალიტეტში როხი-სალომინაოს და ფერსათი-  
როკითი-დიდველა-ვარციხის დამაკავშირებელი ადგილობრივი  
მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოასფალტების

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

**სატენდერო დოკუმენტაცია**

**CPV45233100**

ქ. ბაღდათი  
2015 წელი

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში- სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” შესაბამისად.
- 1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).
- 1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.
- 1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.
- 1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.
- 1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- 1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 120 კალენდარულ დღეს.
- 1.8. მას შემდეგ, რაც ზემოთაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ჟ”, “რ”, ან “ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.
- 1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.
- 1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.
- 1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.
- 1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.
- 1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.
- 1.15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით

რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში-კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი და მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1.22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნატა დაცვით;

ვ) თუ ის არის “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის გარანტიას;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

1.23. ამ ინსტრუქციის 1.22, ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ჟ”, “რ”, და “ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უზრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
- ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
- გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის “ზ”, “გ”, “ე”, “ზ”, ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისთვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/ და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.



## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ცნობები და დოკუმენტები:

11. იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

12. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

13. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

14. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა:

- ა) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ (წინადადების მიღება დაწყებულია).
- ბ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით; საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ელექტრონული სახით) წარმოდგენა შესაძლებელია სისტემის მეშვეობით.

გ) არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

დ) იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მომწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შეტყობინების მიღებიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

**ტექნიკური პირობები:**

**1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტში **როხი-სალომინაოს** და **ფერსათი-როკითი-დიდველა-ვარციხის** დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოასფალტების სამუშაო.

**2. მიწოდების ვადა:**

ა) სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან **4 (ოთხი)** თვის განმავლობაში.

**3. ინფორმაცია პრედენდენტის გამოცდილების და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი **3 (სამი)** წლის **(2012 წლის 2 ივნისიდან 2015 წლის 2 ივნისამდე)** განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის საგზაო სამუშაოები საერთო ღირებულებით **9 000 000** ლარი. ამასთან ამ პერიოდში, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სირთულის და შინაარსის სამუშაოები არანაკლებ **900 000** ლარის ოდენობით. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

**ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.**

№	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
3				

**გ ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

- 1) სატკეპნი საგზაო, თვითმავალი გლუვი 5 ტონიანი,
- 2) სატკეპნი საგზაო, თვითმავალი გლუვი 10 ტონიანი,
- 3) ტრაქტორი მუხლუხა სვლაზე 79 კვტ (108 ცხენისძალა),
- 4) ავტოგრიდერი საშუალო ტიპის 79 კვტ (108 ცხენისძალა),
- 5) მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანა
- 6) ავტოგუდრონატორი 3,5 ტ-იანი,
- 7) ასფალტობეტონის დამგები,
- 8) ექსკავატორი პნევმოთვლიან სვლაზე v=0,5 კმმ,

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მანქანა- მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული )	საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო
1					
2					
და ა.					

დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით).
1				
2				
და ა.შ.				

ე) სამუშაოთა შესრულების გეგმა გრაფიკი.

#### 4. სამუშაოთა ხარისხი:

შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.

ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი. მიმწოდებლების მასალები და კონსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს

საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

შესრულებულ სამუშაოთა შუალედური და საბოლოო ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის მიერ გამოყენებული მასალების საკონტროლო სინჯების ლაბორატორიული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გოსტ 9128-97, სნიპი 3.06.03-85-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხზე „ლევან სამხარაულის“ სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

#### 5. გარანტია და დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადა:

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს სამუშაოების დასრულებიდან.

6. გასაწევი მომსახურების ფასი და ხარჯთაღრიცხვა:

##### 2.3. ანგარიშსწორების პირობები:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხილული იქნეს მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე. (მხოლოდ საბანკო გარანტიით)

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 30 (ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში).

დ) სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ს დაკავებას, რაც მიმწოდებელს

დაუბრუნდება სამუშაოების დასრულებიდან 2 წლის შემდეგ მას შემდეგ, როცა შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ.

ე) ავანსი შესაძლებელია გაიცეს მხოლოდ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულების 30%.

##### 2.4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2% პროცენტის ოდენობით;

ბ) მიმწოდებლის მიერ 20 % მეტი ფასდაკლების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია 2%-დან 10 %-მდე ოდენობით.

დ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 50(ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

#### საკონტაქტო ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. №9; საკონტაქტო პირი: მანაველ კვირიკაშვილი, ტელეფონი: 555 557227

თეიმურაზ ებანოიძე ტელეფონი: 595 900738,



სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №---

ქ. ბაღდათი

--- -----2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ თვითმართვლი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი გეგეშიძის სახით და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA—) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
  - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
  - ბ) ხარჯთაღრიცხვა;
  - გ) სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;
  - დ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**1. ხელშეკრულების საგანი**

შესყიდვის ობიექტია: ბაღდათის მუნიციპალიტეტში როხი-სალომინაოს და ფერსათი-როკითი-დიდველა-ვარციხის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოასფალტების სამუშაო.CPV45233100.

**2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

- 3.1 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტების ( ფორმა №2 და ხარისხის საკონტროლოდ ობიექტიდან აღებული ა/ბეტონის და ბეტონის ნარევის ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნა) წარმოდგენიდან 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეში, საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე შემსრულებელს დაუკავდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 20%.
- 3.2 საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება მოხდება „ლევან სამხარაულის“ სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ მომზადებული დასკვნის შემსრულებლის მიერ წარმოდგენის შემდეგ.

3.3. შემსყიდველი თანახმაა განიხილოს საავანსო თანხის გაცემის საკითხი და სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე წინასწარ გადაურიცხოს მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30% იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი საავანსო გარანტია.

3.4. ავანსის გაცემის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან თავდაპირველად ავანსის თანხის გამოქვითვით;

3.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით მაინც უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

3.6. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს მიწოდებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) საავანსო გარანტიით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოების თანხის სრულად დაბრუნებაზე.

3.7. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

#### 4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წარმოდგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად; რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალები და აღჭურვილობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მასალების ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 2 წელს.

4.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

4.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

4.5 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2%, რომლის დაბრუნება მოხდება საგარანტიო ვადის (ორი წლის) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

#### 5. შესყიდვის ბიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) „ლევან სამხარაულის“ სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ გაცემული დასკვნა.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 6. სამუშაოს შესრულების ვადა და პირობები

6.1 სამუშაოების შესრულება განხორციელდება 2015 წლის — ———. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის მიხედვით (გეგმა-გრაფიკის დაუცველობა განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად).

6.2. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.1.2. სამუშაოების წარმოებისას დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.2.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

8.2.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

8.2.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

8.3.3. ფარული სამუშაოების წარმოების დრო წინასწარ აცნობოს შემსყიდველს და ის აწარმოოს მისი ზედამხედველობის ქვეშ.

8.3.4. აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

8.3.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.3.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება

მიმწოდებლს.

8.3.7. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

8.3.8. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მიმწოდებელი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კრანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს სამუშაოების ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს



კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

19.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

## **14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

შემსყიდველი:

მომწოდებელი:

---

---

**დანართი №1**

- რეკვიზიტები:
- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

(თანამდებობა სახელი, გვარი)

---

(ხელმოწერა)